პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 110 (13504) | კვირა, 15 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი პროფკავშირების დიდი ამოცანები

ერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ი. ლენინი ხაზს სვამდა პროფკავშირების როგორც ეკონომიკური ორგანიზაციისა და მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი ძირითადი სკოლის, კომუნიზმის სკოლის ფუნქციისა. ჩვენს დროში საბჭოთა პროფკავშირების ამ საქმიანობას, რომელიც თავისთან შემადგენლობაში ითვლის ქალაქისა და სოფლის დაახლოებით 80 მილიონ მშრომელს, შეემატა ახალი, კიდევ უფრო ღრმა შინაარსი.

პარტიის XXIII ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს პროფკავშირების როლი სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, უზრუნველყოფილ იქნეს მათი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო გეგმების შემუშავებასა და წარმოების მართვაში. საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს ბოლშევიკური დირექტივებს ხუთწლედის ბანკზე, მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზით. ახლა ყველგან თითოეულ კოლექტივში, თითოეულ საწარმოში, უბანზე, სამუშაო ადგილზე ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. მისი ინიციატორები ცდილობენ გადაჭარბებინონ ფასიანი საწარმოო დავალები, აღმოფხვრიან პროდუქციის ჩინებულ ხარისხს, ამცირებენ რენტაბელობას, იბრძვიან ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის. ბეჯითად ნერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს. სათანადოდ ჩაუდგნენ მილიონთა ამ პატრიოტულ მოძრაობას, შეთბერონ მას ახალი ენერგიცხელებელი ძალა, ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება — პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატორები მოვალეობა, რომლებიც წარმოდგენენ კომუნისტური პარტიის დაჯგუფებს, მასებში მისი პოლიტიკის გამტარებელს.

ბოლოდროინდელში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას. ამ პრობლემის გადაჭრა წარმოუდგენელია, თუ ეფექტიანი მშრომელები აქტიურად არ ჩაერთვებიან საწარმოთა მართვაში. პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უკეთ გამოიყენონ წარმოების საკითხთა განსახილველად მუშათა კრებები, მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და ქარხნების, ნაშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების საქმეთა მართვაში მასების დემოკრატიული მონაწილეობის სხვა ფორმები. ყოველნაირად უნდა დაუჭიროთ მხარი რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრებს, წარმოების ნოვატორებსა და მოწინავეებს.

მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას ხელს უწყობს პარტიის მიერ განხორციელებული ეკონომიური რეფორმა — დაგეგმვისა და ტარიფლირების ახალი სისტემის დანერგვა, საწარმოთა სამეურნეო დადოთ უკიდებლობის გაფართოება.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დამკვიდრებას, რეზერვების ყოველი ღონისძიებით გამოყენებას, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუჯობესებას. უფრო გადაჭრით და სრულად უნდა გამოვიყენოთ პროფკავშირებისათვის მინიჭებული ფართო უფლებები საწარმოთა საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

პროფკავშირების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია მასების პოლიტიკური აღზრდა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. მუშები და მოსამსახურეები უნდა აღვზარდოთ შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, განვუვითაროთ მათ ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობა, კოლექტივის საქმიანობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს ხუთწლედის დავალებები მიაჩნდეს თავის პირად პროგრამად და დაუცხრომლად იბრძოდეს მისი შესრულებისათვის.

პროფესიული კავშირების პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით იზრუნონ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს იძლევა სოციალური დაზღვევისა და შრომის დაცვისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საჭიროებისათვის, სანიტარია და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, კულტურული დასვენების მოწყობისათვის. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა გამოიყენონ ეს ფართო შესაძლებლობანი, რათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნილებანი. უნდა ავამაღლოთ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მნიშვნელობა, მტკიცედ ვადგეთ თავდაცვაში მათ შესრულებას, გამოვიჩინოთ მეტი მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი. საჭიროა მოვაწესრიგოთ მუშათა ყოველდღიური კონტროლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობისადმი, ბინების განაწილებისადმი, საზოგადოებრივი ფონდების ხარჯვისადმი. შემდგომ უნდა გაუმჯობესდეს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საქმიანობა.

სკკპ XXIII ყრილობამ საბჭოთა პროფკავშირები შეაიარაღა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში კონკრეტული მოქმედების პროგრამით. ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა მშრომელთა პატრიოტულ აქტივობას, პირველი ნაბიჯები გადადგა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ. მათ შორის არიან ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური, გორკის, კოსტრომისა და პერმის პროფკავშირთა საოლქო საბჭოები. მოსკოვში ეკონომიური რეფორმის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს პირველი საათის ქარხნის და ფაბრიკა „წითელი ოქტომბრის“, ლენინგრადში — ნევის მანქანათაშენებელი ქარხნის პროფკავშირულმა კომიტეტებმა.

პროფკავშირებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, როგორც პროფკავშირთა საქმიანობის დონის ამაღლების აუცილებელი პირობა, რომ გაუმჯობესდეს მათი ხელმძღვანელობა პარტიის მხრივ. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის აქტივობის გაძლიერებას და მისი წინადადებების მხარდაჭერას, პარტიული კომიტეტების უურადღების გაძლიერებას პროფკავშირული კადრების შერჩევისა და აღზრდისადმი.

საბჭოთა პროფკავშირები ნაყოფიერად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების პროფესიულ ორგანიზაციებთან, აქტიურად ეხმარებიან პარტიას აღზარდოს საბჭოთა ადამიანები ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა პროფკავშირების, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის მოწინავე რაზმის, საქმიანობა სამართლიანად არის მეგობრული მსოფლიოს მშრომელთა ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა პროფკავშირები, რომლებსაც პარტია ხელმძღვანელობს, მძლავრი ძალაა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პროფკავშირები წარმატებით შეასრულებენ დიდ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშეა დასახული სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

წინასაარჩევნო დღეები

სამი წელიწადი სწავლობდა ფოლადის დნობას დნეპროძერჟინსკის მეტალურგიულ ქარხანაში სოფელ უბინის მკვიდრი გრიგოლ სებინკვერაძე. აქ შეიძინა გამჭრიახობა, ცოდნა დ, რაც მთავარია, — სიმარჯვე, რომელიც ასე საჭიროა მოგზაგზე მარტენის ღუმელთან.

მას შემდეგ თექვსმეტი წელი გავიდა. გრიგოლი თავის საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა. ახლა იგი სხვებს ასწავლის ფოლადის დნობას, ხალისით გადასცემს ამ ხნის მანძილზე შრომით შეძენილ მდიდარ გამოცდილებას.

სამაისო შრომითის ვახტზე გრიგოლ სებინკვერაძის ბრიგადამ ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — ერთ ცვლაში ბრიგადამ 180 ტონის ნაცვლად 200 ტონა ფოლადი გამოადნო.

როგორც კარგი მოქალაქე და შესანიშნავი მეფოლადე, თანამოსაქმეებმა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ეს დიდი ნდობა კიდევ უფრო მეტს ავალებს მორწმუნავე მეფოლადეს.

ეჭვი არ არის, რომ 12 ივნისს გ. სებინკვერაძეს ერთხმად მისცემენ ხმას.

• • •

სურათზე: გ. სებინკვერაძე მარტენის ღუმელთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის ვალდებულებანი

შრომითი პატაკები

□ **გეგეჭკორის** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩხოლარიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. სურმავამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ჯელიამ. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აპრილის მეექვსე ხუთდღიურის ცნობებიდან ჩანს, სახელმწიფოს მიეყიდა 2.029 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.090 ცენტნერისა. კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა განაღდებულია 154,3 პროცენტით.

□ **ბაბაჩის** რაიონში, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კუციამ, — ვადაზე ორი თვით ადრე გადაჭარბებით გაანაღდა სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. აბაშელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 2.061 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.550 ცენტნერისა. კვერცხის მიყიდვის დაგალება შესრულებულია 173,5 პროცენტით.

□ **მაიაკოვსკის** რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით ასრულებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის ვალდებულებებს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა მათ შესრულეს 109 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით. კვერცხის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით.

□ **მცხეთის** რაიონის მშრომელებმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კავთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლაშხმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულეს. რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.420 ცენტნერი ხორცი, რაც ნახევარი წლის გეგმის 118.3 პროცენტს შეადგენს.

საუკეთესოთა ნარმატები

ტყიბული. (საკ. კორ.). შაორის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა (უფროსი ს. გვენეტაძე). რომელიც ენერგიულად შრომობს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, 186.5 პროცენტით შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშაების მიმდინარე წლის ოთხი თვის სახელმწიფო დავალება. ენერგეტიკოსებმა თვითეული კილოვატსაათი ელექტროენერგია გეგმასთან შედარებით გაიიაფეს 4 კაპიკით და ამ გზით 141 ათასი მანეთის ეკონომია მიიღეს.

ჩვენს დიად საუბარში

ლ. ი. ბრეჟნევი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ნ. ჩაუშესკუს მიწვევით დღეს, 10-დან 13 მაისამდე რუმინეთში არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ნ. ჩაუშესკუსა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შორის გაიმართა მეგობრული საუბრები, რომელთა დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე და ორივე მხარისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

სადილი საგჭოთა მავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ალექსანდრია, 14 მაისი. (საკადესი). ეგვიპტის სალამოს არაბთა გაერთიანებული სახელმწიფოების პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა სადილი გაუმართა საბჭოთა მავრობის დელეგაციას მონაწილეობა მიიღეს „ნადი ას-საიდში“.

დელეგაციის შეთაურ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და საბჭოთა დელეგაციის წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დ. პ. პოჟიდაევი.

საბჭოთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ იყვნენ პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი, მინისტრ-მინისტერი ზაქარია მოჰიი და სხვა ოფიციალური პირები, ქალაქ ალექსანდრიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ადილმა გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

მეგობრული მილოცვები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურს სამდგომ ნოროდომ სიანუკს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულწრფელად ულოცავენ პირადად მას, მეგობარი კამბოჯის მთავრობასა და მთელ ხალხს საბჭოთა კავშირსა და კამბოჯას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ათი წლისთავს.

ათი წლის განმავლობაში, ნათქვამია დეპეშაში, ჩამოყალიბდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და კამბოჯის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა. ეს უწინარეს ყოვლისა შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირ-კამბოჯის ურთიერთობის განვითარების მტკიცე საფუძველია ურთიერთ მხარდაჭერა და პატივისცემა, სრული თანასწორობა და ერთმანეთის სამნიადო საქმეებში ჩაურევლობა.

საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი მტკიცედ უჭერენ მხარს კამბოჯის მთავრობისა და ხალხის მოქმედებას თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის.

დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ სსრ კავშირისა და კამბოჯის მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა ნოროდომ სიანუკმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოროდომ კანტოლმა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. კოსიგინს.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, — ნათქვამია მათ დეპეშაში, სსრ კავშირი და საბჭოთა ხალხი მეგობრული გაგებით გვეკიდებოდნენ და მეტად მნიშვნელოვან დახმარებასა და მხარდაჭერას გვიწევდნენ ბევრ დარგში როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის ამ გულუხვმა დახმარებამ ეფექტიანად შეგვიწყო ხელი, რომ წინააღმდეგობა გაგვეწია ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ მსახურთა აგრესიული აქტებისათვის, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე კაცობრიობის პროგრესისა და საყოველთაო მშვიდობის შეურიგებელი მტერები არიან.

ნება გვიბოძეთ აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის უდიდესი დასაყრდენია მხარდაჭერა. რასაც საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი გვიწევენ ჩვენი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნეიტრალიტეტის დაცვის საქმეში, რომლებსაც საფრთხეს უქმნიან იმ დანაშაულებრივი ომის გაფართოების გეგმები, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ვიეტნამის წინააღმდეგ.

დაე კეთილად განუხრელად ვითარდებოდეს ქმედრი-საბჭოთა ხალხების მეგობრობა ნათქვამია დასასრულ ნოროდომ სიანუკისა და ნოროდომ კანტოლის დეპეშაში. (საკადესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „მამირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „მამირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „მამირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. **გველაძეს** თინა მოსეს ასულს — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ორკონიკიძე.
2. **მსხალაძეს** დურეი ქერიმის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი მახო.
3. **ფაშაევას** ეალიდა მაჰმუდ ყზის — ქალაქის საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი.
4. **სამდოვას** ილაო ასქერ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ოლაშლო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1966 წლის 10 მაისი.

სსრ კავშირის პროკურატურაში

12 და 13 მაისს გაიმართა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები, მთელი რიგი ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების პროკურორები. კოლეგიაზე განიხილეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რ. ა. რუდენკოს მოხსენება — პროკურატურის ორგანოთა ამოცანები სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებაში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ი. ლაპუტინი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ო. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ს. ზახაროვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები და სხვანი.

მოხსენებასა და კოლეგიის სხდომის მონაწილეთა სიტყვებში განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ხელოვნებასთან და პიროვნების წინააღმდეგ სხვა განზრახვით დანაშაულებებთან, გაძლიერდეს ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების, დანაშაულებრივი დაუდევრობის, უყაირათიანობის. უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა ამ დარღვევათა წინააღმდეგ, რომლებიც დიდ ზარალს აყენებენ სახალხო მეურნეობას. საჭიროა გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა კანონების ზუსტად დაცვისადმი, აღიკვეთოს მოქალაქეების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევა.

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება

ცხინვალი, 14 მაისი. (საკადესი). აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება.

მოხსენება — ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ჯუსოევმა. მომხსენებელი შეეხო წარმატებებს, რომლებიც სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს შარშან, აღნიშნა ის კეთილსაყოფიერი გავლენა, რომელიც ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების პროდუქტების წარმოება. შარშან, მაგალითად, 1964 წელთან შედარებით ოლქის კოლმეურნეობათა მოლიანი შემოსავალი 30 პროცენტით გადიდდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 26 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

შეკრებაზე ბევრი ილაპარაკეს სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე ახალ ხუთწლედში.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა უ. ხანიკაევმა, ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მემანდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. საბკაევმა, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ჩიტიშვილმა, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეკარხლემ ხ. კაბისოვმა და სხვებმა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯაფარიშვილმა.

მიღებულია მიმართვა სამხრეთ ოსეთის სოფლის ყველა მშრომელისადმი, რომელიც მოუწოდებს გაამაღლონ ბრძოლა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს აზრბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა გამოწვევა, რომ გაამრძელონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება 1966 წელს.

შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის შეკრებაზე ჯავის რაიონს გადაეცა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა.

შემდეგ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ა. ჯიოევამ ორდენები და მედლები გადასცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავეებს.

თესვის გეგმები შეასრულეს

რესპუბლიკის მინდვრებში საგაზაფხულო კულტურების თესვა დასასრულს უახლოვდება. თესვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, გორის, კასპის, გურჯაანის, დმანისის, თიანეთის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ლენინგორის რაიონებმა და ქ. ჭიათურის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

გორის რაიონის მშრომელებმა ნაცვლად 9.784 ჰექტარისა დათესეს 10.208 ჰექტარი. საგაზაფხულო კულტურები, თერჯოლის რაიონში ნაცვლად 5.904 ჰექტარისა — 6.016 ჰექტარი, კასპის რაიონში ნაცვლად 5.794 ჰექტარისა — 5.804 ჰექტარი, დმანისის რაიონში ნაცვლად 4.843 ჰექტარისა — 5.133 ჰექტარი და სხვ.

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება

ცხინვალი, 14 მაისი. (საკადესი). აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება.

მოხსენება — ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ჯუსოევმა. მომხსენებელი შეეხო წარმატებებს, რომლებიც სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს შარშან, აღნიშნა ის კეთილსაყოფიერი გავლენა, რომელიც ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებმა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების პროდუქტების წარმოება. შარშან, მაგალითად, 1964 წელთან შედარებით ოლქის კოლმეურნეობათა მოლიანი შემოსავალი 30 პროცენტით გადიდდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 26 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

შეკრებაზე ბევრი ილაპარაკეს სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე ახალ ხუთწლედში.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა უ. ხანიკაევმა, ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მემანდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. საბკაევმა, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ჩიტიშვილმა, ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეკარხლემ ხ. კაბისოვმა და სხვებმა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯაფარიშვილმა.

მიღებულია მიმართვა სამხრეთ ოსეთის სოფლის ყველა მშრომელისადმი, რომელიც მოუწოდებს გაამაღლონ ბრძოლა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს აზრბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა გამოწვევა, რომ გაამაღლონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება 1966 წელს.

შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის შეკრებაზე ჯავის რაიონს გადაეცა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა.

შემდეგ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ა. ჯიოევამ ორდენები და მედლები გადასცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავეებს.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის 45 წლისთავი

პრაღა, 14 მაისი. (საკადესი). შესრულდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დაარსების 45 წლისთავი. ამ ისტორიულ თარიღს ზეიმით აღნიშნავს რესპუბლიკის/ ყველა მშრომელი. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ეწყობა მშრომელთა კრებები. პარტიის კომიტეტთა საზეიმო სხდომები.

დღეს ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალური გაზეთი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სახელოვან წლისთავს უძღვნის სტატიებსა და სხვა მასალებს. პირველ გვერდზე აქვეყნებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი ღირსშესანიშნავი თარიღის გამო.

ბულგარეთის კომპარტიის 45 წლისთავი

პარიზი, 14 მაისი. (საკადესი). ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება ოპოზიცია დე გოლის პოლიტიკის მიმართ და იზრდება დემოკრატიისადმი მისწრაფება. დე გოლის მთავრობა სხვა რეაქციონერებთან ერთად ემზადება ბრძოლა გაუმართოს ამ მოძრაობას პარლამენტის მომავალ არჩევნებში. — თქვამდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა.

საფრანგეთი

დრო დადგა

საფრანგ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

18 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლ. თ. ილიჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ჯეფრი ჰარისონი და შემდეგი განუცხადა:

„დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს 1966 წლის 6 აპრილის ცნობის თანახმად, მიმდინარე წლის ზაფხულში და შემოდგომაზე დასავლეთ გერმანიის ჯარებს კვლავ მიეცემათ შესაძლებლობა გამოიყენონ ინგლისის ტერიტორია მანევრების მოსაწყობად და საბრძოლო წვრთნისათვის. ბუნდესვერის სარაკეტო ქვეგანყოფები ჰებრიდესის კუნძულებზე, როგორც საბრძოლო პირობებში, გაუშვებენ მართულ რაკეტებს „სერჯენტს“, რომელსაც შეუძლიათ ზიდონ ატომური მუხტები. გარდა ამისა, როგორც ინგლისის პრესის ცნობებიდან ჩანს, ბუნდესვერის რვა სატანკო ბატალიონი მანევრებსა და საბრძოლო სროლას გამართავს სამხრეთ უელსში კასლმარტინის ტანკოდრომზე. სულ ბრიტანეთის კუნძულებზე წვრთნასა და მანევრებში მიმდინარე წელს, როგორც დასახულია, მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ გერმანიის არმიის ხუთი ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა განაგრძობს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციისათვის ხელშეწყობის პოლიტიკას. ასეთ კურსს განსაკუთრებით საშიში ხასიათი ენიჭება იმ პირობებში, როცა დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეები სულ უფრო დაჟინებით ისწრაფვიან ხელში ჩაიგდონ მასობრივი მოსპობის იარაღი. ძნელია ითქვას, რომ ეს შეესაბამებოდეს ინგლისის ხელმძღვანელ მოღვაწეთა განცხადებებს, დიდი ბრიტანეთი არასოდეს არ დათანხმდება, რომ გერმანელს ხელი უპყრას ატომური იარაღიო“.

საყურადღებოა, რომ ერთ დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერები გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ, რომ ბუნდესვერს სატანკო ნაწილების წვრთნა მოეწყო ინგლისში. და მით უფრო გაუგებარია მიზეზები, რომელთა გამო დიდი ბრიტანეთის მთავრობა უარს ამბობს ამ სავსებით გამართლებულ პოზიციაზე, გაუგებარია შემდგომი დათმობები ბუნდესვერის ხელმძღვანელებისადმი და ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ბუნდესვერს უადვილებენ რაკეტულ-ატომური იარაღის ხელში ჩაგდებას.

საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია ეცნობებინა დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი, რადგან დიდი ბრიტანეთი საბჭოთა კავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საფრანგეთთან ერთად მონაწილეა პოტსდამის და სხვა სამოკავშირეო შეთანხმებებისა გერმანიის შესახებ, რომელთა მიხედვით ამ ოთხმა სახელმწიფომ იკისრა საქვეყნო ვალდებულება ყოველი ღონე იხმაროს, რათა არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რათა გერმანია აღარასოდეს დაემუქროს თავის მეზობლებს და შენარჩუნებულ იქნეს მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ დიდი ბრიტანეთიც მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით განიხილავს ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს და გამოიტანს საჭირო დასკვნას, რომელიც შეესაბამება მის საერთაშორისო ვალდებულებებს.

ᲡᲐᲔᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲑᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 მაისი. (საკდესის კორესპონდენტი გ. პეტრუსენკო ეკუბყობინებს:

პრეზიდენტი ჯონსონი გუშინ კვლავ ეთათბირა თეთრ სახლში ამერიკის ელჩს სამხრეთ ვიეტნამში ჰენრი კებოტ ლოჯს, რომელიც აქ „საკონსულტაციოდ“ ჩამოვიდა. თათბირში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მდივანი რასკი, თავდაცვის მინისტრი მაკნამარა. თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში მოიერსმა განაცხადა, რომ ეს სხდომა „ვიეტნამის მდგომარეობის საერთო მიმოხილვის გაგრძელება“ იყო. თათბირზე პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ კომერმა და ლოჯის მოადგილემ პორტერმა ეაკეთეს მოხსენებანი სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიური სიტუაციის შესახებ, მზარდი ინფლაციის შესახებ. მოიერსმა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვას, მოელის თუ არა რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ლოჯის „კონსულტაციების“ შედეგად.

მაგრამ მოიერსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელი „კონსულტაციები“ ეხება“ ყველა პრობლემას, რომლებიც ლოჯისა და ამერიკის მთავრობის წინაშე წამოიჭრა სამხრეთ ვიეტნამში“.

ვაშინგტონის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რა უქნან „პრემიერ“ კის. მიმდინარე წლის დამდეგს, როგორც ეს ცხადყო პრეზიდენტ ჯონსონისა და საიგონელ მარიონეტთა ჰონოლულუს თათბირმა, ამერიკის პოლიტიკის ავტორებმა გადაჭარბებით შეაფასეს სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტისა და მისი მეთაურის კის ძალა და უნარი. სამხრეთ ვიეტნამში მომხდარმა აპრილის ამბებმა ცხადყვეს, რომ სამხრეთვიეტნამელები სულაც არ უჭერენ მხარს კის. როგორც ვაშინგტონში ფიქრობენ, პრეზიდენტი ინსტრუქციებს აძლევს ლოჯს, რომ უფრო დიდი ყურადღება დაუთმოს პოლიტიკურ სიტუაციას საიგონში. კორესპონდენტები აღნიშნავენ: თუ ლოჯის უპირველესი ამოცანა იქნება ერთ წელიწადს კიდევ შეუნარჩუნოს კის ძალაუფლება და ხელი შეუშალოს ძირგამომპალი რეჟიმის სამოლო დამხობას, უფრო შორეული ამოცანაა გამოძებნოს ნაკლებად სახელგატეხილი სამხრეთვიეტნამელი მოღვაწე, რომელიც ერთგულად მოემსახურება ვაშინგტონს.

ახლანდელი „კონსულტაციები“ უაღრესი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობს. ლოჯი ერიდება პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრას. არავინ არ იცის, როდის წავა იგი საიგონში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲚᲐᲜᲖᲔᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 მაისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა დღეს სამინისტროებისა და მთავრობის ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც მოითხოვს, რომ საფინანსო წლის დამლევს მასობრივად არ დახარჯოს სახსრები როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, (მიმდინარე საფინანსო წელი 30 ივნისს მთავრდება). პრეზიდენტმა მოუწოდა მთავრობის უწყებათა და ორგანიზაციათა ყველა ხელმძღვანელს რაც შეიძლება შეამცირონ მასალებისა და მოწყობილობის შეკვეთები, არ გადაჭარბონ მარგის ნორმალურ დონეს, კონტრაქტები არ დადონ მოძავალი მომსახურებისათვის და არ გადაუხადონ მოჯარადრეებს სახსრები, რომლებიც დამტკიცებული გეგმებით არ არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო საჭიროებისათვის მთავრობის ხარჯების შემცირების ეს ღონისძიებანი დაკავშირებულია ვიეტნამის ომისათვის საჭირო ასიგნებათა გადიდებასა და ინფლაციის ზრდასთან.

ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲯᲐ ᲩᲐᲔᲣᲨᲐᲗ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 13 მაისი. (საკდესი). ყოფილ სს-ელთა დასავლეთგერმანული ორგანიზაციის „ხიაგის“ მეთაურები იძულებული არიან ხელი აიღონ მიუნხენში ეგრეთწოდებული „სს-ელთა ტრადიციული შეკრების“ გამართვაზე. შეკრება, რომლის საბაბი იყო „ხიაგის“ არსებობის 15 წლისთავი, უნდა მოეწყოს 21 მაისს ლუდხანის უზარმაზარ დარბაზში „ბიურგერბროიკელერში“, სადაც წინათ არაერთხელ გამართულა ნაციზტთა თავყრილობა და არაერთხელ გამოსულა ჰიტლერი. „შეკრებაში“ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სს-ელთა შენაერთების ყოფილ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში თარეშობდნენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

გადაწყვეტილება, აეკრძალათ სს-ელთა თავყრილობა, რომლის ორგანიზატორებს მხარს უჭერდნენ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი, შედეგია ფართო საპროტესტო მოძრაობისა, რომელიც მიუნხენში გაიშალა. ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის მებაძოლებმა, პროფკავშირულმა აქტივისტებმა, ახალგაზრდული და პაციფისტური ორგანიზაციების წევრებმა.

ᲘᲬᲕᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲘ... ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲨᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲜᲒᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲔᲠᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲨᲕᲘᲪᲘᲐ ᲓᲘᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲗᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ

ᲤᲝᲢᲝ ᲞᲠᲔᲡᲔᲜᲡᲑᲘᲚᲓ-ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘᲡᲐ.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

□ **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ**, 14 მაისი. (საკდესი). ბუდაპეშტში დამთავრდა საერთაშორისო სემინარი, რომელიც მიეძღვნა უწიგნურობის ლიკვიდაციის მასობრივი ორგანიზაციების ამოცანებს, იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო.

სემინარი მოაწყო განათლების მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციამ. სემინარში მონაწილეობდნენ ალჟირის, ბულგარეთის, უნგრეთის, დაგომეის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გვინეის, კენიის, ბრაზავილის, კონგოს, კუბის, მაროკოს, პოლონეთის, რუმინეთის, სირიის, საბჭოთა კავშირის, სუდანის, ტანზანიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები, აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და იუნესკოს წარმომადგენლები.

□ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 14 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სოლსბერელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გუშინ სამხრეთ როდეზიის სასამართლომ ოც აფრიკელს ათ-ათი წლის პატიმრობა მიუსაჯა. გარდა ამისა, კიდევ ერთ აფრიკელს მიუსაჯეს ხუთი წლის კატორღა.

სმიტის რეჟიმმა მათ ბრალად დასდო, რომ „ეეგმავდნენ საბოტაჟის აქტებს და ემზადებოდნენ სმიტის მთავრობის დასამხობად“.

□ **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 ᲛᲐᲘᲡᲘ.** (საკდესი). **დღეს ლონდონში ხელი მოაწერეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ინგლისის ახალ საჰაერო შეთანხმებას. ორივე პარტნიორმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო სავაჭრო პალატა და ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაცია — მოილაპარაკეს შეათანხმონ 1966 და 1967 წლების საქონლის ახალი სიები. ახალი შეთანხმება ითვალისწინებს აქამდე მოქმედ სავაჭრო შეთანხმებასთან შედარებით საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებას 37 პროცენტით.**

□ **ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ**, 13 მაისი. (საკდესი). **სირიის მთავრობა დაჩქარებული ტემპით ახორციელებს აგრარულ რეფორმას. სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის სამინისტროს გადაწყვეტილების შესაბამისად ხვალიდან სირიის ოთხ პროვინციაში 1093 გლეხის ოჯახს გაუნაწილებენ 10 ათასზე მეტ ჰექტარ მიწას და ამასთან მისცემენ ახალ სახლებს 20 სოფელში.**

□ **ᲑᲝᲜᲜᲘ**, 13 მაისი. (საკდესი). ბონის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ივნისს ან ივლისში საიგონში გაგზავნონ დასავლეთ გერმანიის მთავრობის კიდევ ერთი დელეგაცია, იუწყება გაზეთი „გენერალ-ანციაგერი“. აქ გამოაცხადეს, რომ დელეგაციის გამგზავრების ერთ-ერთი მიზანია იმის „გამოკვლევა“, თუ როგორ იქცა დიდძალი მედიკამენტი, რომელიც ბონიდან ამას წინათ გაგზავნეს თვითმფრინავით სამხრეთ ვიეტნამში, საიგონის „შავ ბაზარზე“ სპეკულაციის საგნად.

□ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 მაისი. საკდესის კორ. ვ. მკრტჩიანი გვატყობინებს:

გუშინ ვაშინგტონის მახლობლად ჰოტსპრინგსში შეიკრიბა ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო და ფინანსური ელიტა, რათა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განეხილა შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობა. ვაშინგტონის ჟურნალისტთა წრეებში მიაჩნიათ, რომ ამ თათბირზე დიდ ბიზნესს სურს, რომ მთავრობამ განუმარტოს ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებას აპირებს ინფლაციის შესაჩერებლად. ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმჩნევა ფასების ზრდა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება. რიგით ამერიკელებს სერიოზულად აშფოთებს აგრეთვე მთავრობის ის უდიდესი ხარჯები, რომლებიც ვიეტნამის ომთანაა დაკავშირებული. მონოპოლიათა წარმომადგენლებს კი მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ: გაადიდებენ თუ არა მოგების გადასახადს.

დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ № 104, 105, 106, 107, 108, 109.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲡᲠᲙ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ

„ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

ლაშქარაძე დავით ბესარიონის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

ლაშხი ბიძინა ალექსანდრეს-ძე — მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ლაცაბიძე ვახტანგ ლაზარეს-ძე — ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს ბრიგადირი.

ლაჩუეპიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ფაკულტეტის დეკანი.

ლებანიძე გიორგი ივანეს-ძე — გაზეთ „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ლებანიძე თენგიზ გრიგოლის-ძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს სექტორის უფროსი.

ლებანიძე შალვა ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

ლევჩენკო მიხეილ პეტრეს-ძე — წყალნახიბის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი.

ლეონავა ზურაბ პლატონის-ძე — საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ლეონავა იური არონის-ძე — მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლეონიშვილი რობერტ გიორგის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

ლეონიშვილი შალვა სიმონის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ლეკვეიშვილი ირაკლი სპირიდონის-ძე — პრიანიშნიკოვის სახელობის ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე.

ლელაძე დომენტი ესტატეს-ძე — ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ლემონჯავა შოთა ანტონის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ლეპარტელიანი გრიგოლ სერგის-ძე — მცხეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლითანიშვილი ოთარ ანტონის-ძე — თბილისის მთავარი მხატვარი.

ლიპკინი მოსე ბორისის-ძე — „საქსაბსოფლმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის საბჭოთა მეურნეობების დაპროექტების განყოფილების უფროსი.

ლობჟანიძე ვახტანგ ერმილეს-ძე — თბილისის № 1 ავტოსატრანსპორტო ტრესტის მმართველი.

ლოგუა ელენე ნესტორის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სასადილოს გამგე.

ლოლაძე დავით სევასტის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კეთილმოწყობის საამქროს უფროსი.

ლოლაძე ვარლამ ალექსანდრეს-ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვარძიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლომაშვილი ჯიბო ნიკოლოზის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

ლომაძე თამარ ლავრენტის ასული — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლომაძე კარლო მელენტის-ძე — საქართველოს კპ ტყიბულის ქალაქკომის პირველი მდივანი.

ლომაძე მამია ვიქტორის-ძე — საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი.

ლომიძე ვასილ მიხეილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნე.

ლომიძე ისაკ მიხეილის-ძე — ყვარლის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლომიძე მიხეილ თედოს-ძე — № 4 ტრესტის მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის ქარხნის ელექტრომემდუღებელთა ბრიგადირი.

ლომინაძე არჩილ ზაბულონის-ძე — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ დირექტორი.

ლომინაძე ვასილ პავლეს-ძე — ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი.

ლომიტაშვილი ანასტასია სოლომონის ასული — ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლომიტაშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე — ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლომკაცი სიმონ ილიას-ძე — მეგალოგობის, მევენახეობისა და მეღვინეობის თბილისის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ლომოვსკაია ლიუბოვ ნიკოლოზის ასული — თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშა.

ლომჯარია ნინო ივანეს ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ჭახიეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლომთაძე გაბრიელ ვასილის-ძე — ამბროლაურის რაიონის სოფელ ღადეშის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ლორთქიფანიძე ბეჟან ვლადიმერის-ძე — საცხოვრებელი და საზოგადოებრივ შენობათა ტიპიური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

ლორთქიფანიძე გრიგოლ დავითის-ძე — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი.

ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

ლორია დურმიშხან ანთიმოზის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე.

ლოსაბერიძე ხაურ ბაგრატის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის შახტის მუშა.

ლუკაშვილი ვასილ ანტონის-ძე — ახალციხის რაიონის აწყურის მეორეეშმა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერი.

ლუცუბიძე გოდერძი მიხეილის-ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

მაღალაშვილი ზურაბ კონსტანტინეს-ძე — ქარხანა „თბილელექტროიზოლატის“ დირექტორი.

მაღალაფერიძე ლუკა იოსების-ძე — საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

მაღრაძე მიხეილ კონდრატეს-ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე.

მაღრაძე ნოგაჯა სამუელის-ძე — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

მაძღარაშვილი ალექსანდრე ივანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნე.

მაზანაშვილი თამარ ნიკოლოზის ასული — კასპის რაიონის სოფელ ნოსტეს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მაზნიაშვილი კასუმ ქორუმის-ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ ბრიგადირი.

მაისაშვილი ილია ბესარიონის-ძე — მთავართბილმშენის № 9 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი.

მაისაშვილი ბენედიქტე ივანეს-ძე — ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

მაისურაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 1 ავტოსატრანსპორტო სპეციალური მშენებლობის ტრესტის მელიანდაგეთა ბრიგადირი.

მაისურაძე გრიგოლ სილოვანის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მაისურაძე ელენე ანდრიას ასული — სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის კოლმეურნეობის მერგოლური.

მაისურაძე ნიკოლოზ ილიას-ძე — „საქბაკალეის“ რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

მაისურაძე ნოდარ შალვას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

მაისურაძე ონოფრე იორდანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ აგრონომი.

მაისურაძე სერგი ანდრიას-ძე — თბილისის № 1 ავტოშმკეთებელი ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი.

მაისურაძე სერგი დიმიტრის-ძე — მთავართბილმშენის № 10 სამშენებლო სამმართველოს ხერო.

მაისურაძე ერასტი ილარიონის-ძე — თელავის რაიონის სოფელ ფშავლის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მაკარაშვილი ალექსი მარტინის-ძე — მცხეთის რაიონის სასელექციო-საცდელი სადგურის ბრიგადირი.

მაკაროვა სოფიო პავლეს ასული — წალკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

მაკუაშვილი ვახტანგ ლევანის-ძე — გურჯაანის რაიონის შიომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მალაზონია გერმოგენ პოლიახტის-ძე — თბილისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის უფროსი აგრონომი.

მამაგულაშვილი იულია ლაზარეს ასული — გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მამალაძე გრიგოლ ილარიონის-ძე — ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მამალაძე ილია ბეგლარის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

მამამთავრიშვილი დავით გრიგოლის-ძე — ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

მამათელაშვილი ელიზბარ ალექსანდრეს-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

მამედოვი აბუზარ იბრაჰიმ ოღლი — გარდაბნის რაიონის სამგორის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომიული განყოფილების მმართველი.

მამედოვი ჯაბრაილ მამედ ოღლი — მარნეულის რაიონის სადახლოს მეთამბაქოობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

მამედოვი ზეინაბ ვალი ყიზი — მარნეულის რაიონის ორაფლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მამედოვი მიასა ქიარამ ყიზი — ბოლნისის რაიონის სოფელ ზემო-ქოშაძილისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მამედოვი მამედ ნაბი ოღლი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ბრიგადირი.

მამედოვი ორუჯ ჰუსეინ ოღლი — გარდაბნის რაიონის სამგორის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

მაფორია მიხეილ ანტონის-ძე — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

მამრიკიშვილი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობის მერგოლური.

მამულაძე დავით მიხეილის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

მამულოვი ოთარ ალექსის-ძე — გარდაბნის რაიონის თელეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

მამუჩაშვილი გიორგი ისაკის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

მამუჩიშვილი ბარბარე საბას ასული — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა.

მანველიძე ვიქტორ თეოფანეს-ძე — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილე.

მანველიძე შალვა ივანეს-ძე — თბილისის კიროვის სახელობეს ჩარხსამშენებელო ქარხნის მუშედი.

მანდარია დავით ილიას-ძე — ქუთაისის № 5 სტამბის დირექტორი.

მანჯავიძე ამირან ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი.

მანჯავიძე ვახტანგ ვარლამის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ იგორეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მანჯავიძე ივანე ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ხერო.

მანჯაფარაშვილი შალვა ივანეს-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ფერმის გამგე.

მანელაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

მანია ანდრია დიმიტრის-ძე — წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

მანია ზანგნა ზოსიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუშის კოლმეურნეობის მერგოლური.

მანუკოვი ანოტ არკადის-ძე — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ დუშეთის განყოფილების მმართველი.

მანუკიანი ლიზა გაბრიელის ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკვის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მანწყავა დავით ერასტის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს უფროსი.

მანჩხავა ნაზიკო ვიქტორის ასული — გეგეჭკორის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მარაბიანი ნიკოლოზ ანდრიასის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯოლარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მარგალიტაშვილი არშაკ იაკობის-ძე — თელავის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მარღანია ძაბუკი გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობ

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

მესხია ფასო კოჩანის ასული — წალენჯიხის რაიონის ოდნოვის სახელობის სოფლის მეურნეობის კოლმეურნე.

მესხორაძე ეირონ არჩილის ასული — ფოთისის საავეჯო ფაბრიკის უფროსი ოსტატი.

მეტრეველი ნიკოლოზ სიმონის-ძე — ბაკურიანის მეცნიერებითი კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნიკოსი.

მეტრეველი ეროინ ვიქტორის-ძე — საქართველოს ალკა ცენტრალური კომბინატის მდივანი.

მეტრეველი სლავა კალისტრატეს-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეცხვარიშვილი იოსებ გიორგის-ძე — ბარეულის რაიონის უჯარმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

მეჯვიი დომენტი ესტატეს-ძე — მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მეჯვიი ილია სერაფიონის-ძე — გარდაბნის რაიონის სამგორის მექანიზაციის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

მიქაძე ალექსანდრე სერგის-ძე — ოზურგეთ „კავკასელექტროქსელმშენის“ მართველი.

მიქაბერიძე ვერა ბიკენტის ასული — ბალისის ქარხანა „ელექტროზოლა-ს“ მშენებელი.

მიქავა ღუღუნი ილარიონის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარკონის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მიქაძე ილია სარდიონის-ძე — თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მიქაძე სანო მიხეილის-ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელთა ქარხნის პარტიული კომიტეტის დოკანი.

მიქაძე თიკა ივანეს ასული — ლაგოდეხის რაიონის ძერძინსკის სახელობის სოფლის მეურნეობის კოლმეურნე.

მიქაუტაძე გურამ ვიქტორის-ძე — ბარეულ რაიონის მარქსის სახელობის სოფლის მეურნეობის კოლმეურნე.

მიქაშავიძე ვალერიან მიხეილის-ძე — ბიურეკავკასიის რკინიგზის თბილისის საოკომოტივო დეპოს პროფკავშირის ფგელკომის თავმჯდომარე.

მიქელაძე ირაკლი სდლომონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მიქელაძე შოთა ანდრიას-ძე — ზუგდიდის მე-2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი.

მიქელავა თამარ ივანეს ასული — ცხინვალის რაიონის სოფლის მეურნეობის წარმოო სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი.

მიკელსონი ვალენტინა ივანეს ასული — ენგურის ცელულოზაქაღალდის კომბინატის მუშა.

მიქიანშვილი ილია ესტატეს-ძე — ამბროლაურის რაიონის სოფელ საკაციას მეურნეობის კოლმეურნე.

მიქიეი ხანუმ მიქე ყიზი — მარნეულის რაიონის ყაჩაღნის მერძევეობა-მეტალეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მირკუთმაშვილი არტაშ გიორგის-ძე — ფოთი წყაროს რაიონის სოფელ კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მრმინოშვილი მერი კონსტანტინეს ასული — მახარაძის რაიონის ლეონინის სახელობის სოფლის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მიმინოშვილი კარლო გიორგის-ძე — ფოთაურის მეტალურგიული ქარხნის კატლეტონი.

მიმინოშვილი ლუარსაბ ვასილის-ძე — ოზურგეთის რაიონის რუისპოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-ის მთავარი აგრონომი.

მიდელაშვილი ყარამან პავლეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ინჟინერი.

მიკიტაშვილი სერგი ზაქარიას-ძე — ბაბის რაიონის სოფელ ხოცლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მილაშვილი რომან საბას-ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის მერგოლური.

მურადოვა ირაკლი გერონტის-ძე — ფოსტერსპეციმშენის სამმართველოს უფროსი.

მილკი ეკატერინე იაკობის ასული — ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ № 4 საბურო წარმოებათა კომბინატის მეანძელი.

მინასიანი მანიკ სიმიკის ასული — ბორჯომ-ბაკურიანის ტყეთმცოდნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწყველავი.

მინდელი ბიძინა ონისიმეს-ძე — ონის რაიონელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მინდელი გიორგი მიხეილის-ძე — ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ მმართველის მოადგილე.

მინდიაშვილი ზაქარია მიხეილის-ძე — ბორჯომის რაიონის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მირელაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე — თბილისის საავეჯო-საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ სათაო საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსი.

მირგალია ბონდო ნესტორის-ძე — ლეგოდეხის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

მირიანაშვილი ვახტანგ ვასილის-ძე — საქართველოს კპ გარდაბნის რაკომის მდივანი.

მირიანაშვილი ვლადიმერ ივანეს-ძე — ბაკურიანის რკინიგზის თბილისის საბავშვო სადგურის პარტბიუროს მდივანი.

მირიანაშვილი მათე მიხეილის-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დირექტორი.

მირზაძე გრიგოლ მალაქიას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ენერგეტიკისა და ტექნიკის საგამოფენო ბინისის განყოფილების უფროსი.

მირცხულავა ცოტნე ევგენის-ძე — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მიხაილოვი ვლადიმერ აგაფის-ძე — ბაკურიანის ავტანლოს მერძევეობა-ბალეოფოლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მიხაილოვი ვლადიმერ გიორგის-ძე — ბაკურიანის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის თბილისის ტანციის უფროსის მოადგილე.

მიხაილოვი ვლადიმერ პეტრეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

მიხაილოვი კირიაკ ლაზარეს-ძე — ტრესტ „საქპერკონდიტერის“ № 5 პურის ქარხნის ზეინკალი.

მიხაილოვი კუზმა იაკობის-ძე — კავშირგაბმულობის თბილისის 1-ლი საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორი.

მიჩიტაშვილი დავით გიორგის-ძე — ბორის რაიონის სოფელ ზერტის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მკრტჩიანი ქეროპ დონაგანის-ძე — წალკის რაიონის სოფელ ყიზილ-ქილისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მნათობიშვილი გიორგი ფედოს-ძე — წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მოვლუდოვი მეზრალი მოვლუდ ოღლი — ბარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

მოდებაძე პლატონ ონისიმეს-ძე — ყვარლის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მონცელიძე კონსტანტინე სამსონის-ძე — სამაგისტრალო გაზსადენების ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსი.

მონცელიძე თენგიზ გრიგოლის-ძე — „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი.

მორგოშია მამია პორფირეს-ძე — წალენჯიხის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მორეტი კარლო ვლადიმერის-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მშენებლობის საქმეთა ტექნიკური ზედამხედველი.

მორჩაძე დავით ილიას-ძე — სოფელ კოკას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. ტყიბული.

მოსიაშვილი ოთარ იაკობის-ძე — ელექტროშესადუღებელ მოწყობილობათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი.

მოსიძე ვალერიან სამსონის-ძე — გარდაბნის № 10 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი.

მოსოიანი ლენა შავარშის ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მოსტოვაია ნატაშა ათანასეს ასული — გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მოწერელია ალექსანდრე ბესარიონის-ძე — ფოთის ტრესტ „საქტორფის“ ქიმიური ლაბორატორიის გამგე.

მოწონელიძე ნურა გიორგის ასული — რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მუშა.

მრელაშვილი მზია არჩილის ასული — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი.

მსხლაძე გურამ მიხეილის-ძე — წულუკიძის რაიონის სოფელ წითელი ვარსკვლავის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მთავრიშვილი ელენე ვასილის ასული — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის განყოფილების უფროსი.

მთავრიშვილი ნატა ზაქარიას ასული — გურჯაანის რაიონის კაჩრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მუფინსკაია ელენე ილარიონის ასული — კავშირგაბმულობის ფოთის საქალაქო კვანძის ფოსტალიონი.

მუზაშვილი რევაზ კონსტანტინეს-ძე — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის შეჩარხე.

მუმლაძე ბახვა შალვას-ძე — ლაგოდეხის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მუმლაძე ვალერიან ილარიონის-ძე — ქუთაისის ლითონჭონის ქარხნის ცენტრალური საკარხნო ლაბორატორიის უფროსი.

მუმლაძე ზურაბ ბესარიონის-ძე — ქ. თელავის აეროპორტის უფროსი.

მუმლაძე ნაზი აკაკის ასული — ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

მუმლაძე ტატიანა მიხეილის ასული — ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი.

მუმლაძე შალვა ზაქარიას-ძე — გორის რაიონის ახალუბნის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მურადაშვილი დარჩო ანტონის-ძე — გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მურადაშვილი კარპეზ იპოლიტეს-ძე — პენსიონერი, თერჯოლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე.

მურადაშვილი ნატალია დავითის ასული — გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკი.

მურადოვი რევაზ გიორგის-ძე — ყასპის რაიონის ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

მურჯიანელი პავლე არჩილის-ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მურთაზაშვილი ვასილ კობას-ძე — ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

მუსტაფაევი ემილიან ალაჰვერდი ოღლი — მარნეულის რაიონის ყაჩაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერი-მექანიკოსი.

მუსხელიშვილი ალექსანდრე ივანეს-ძე — საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მუსხელიშვილი ალექსანდრე ივანეს-ძე — საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ნაბარეიშვილი ალექსი კონსტანტინეს-ძე — ობობის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ნადაშვილი გიორგი ლევანის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

ნადაშვილი სიმონ დავითის-ძე — ახმეტის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ნადირაშვილი გიორგი ვასილის-ძე — ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ნადირაძე ვერა დავითის ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ამწყობი.

ნადირაძე ზურაბ სიმონის-ძე — ჭიათურამარგანეცის № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „მრეწველმშენის“ ბრიგადირი.

ნადირაძე იოსებ სიმონის-ძე — საკავშირო სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის „სელელექტროსის“ საქართველოს განყოფილების დირექტორი.

ნადირაძე მამია სილოვანის-ძე — წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ნაზარიანი გეორგ სამსონის-ძე — მარნეულის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ნარეტი კარლო ვლადიმერის-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მშენებლობის საქმეთა ტექნიკური ზედამხედველი.

ნორჩაძე დავით ილიას-ძე — სოფელ კოკას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. ტყიბული.

ნასაიძე ივანე გერასიმეს-ძე — მცხეთის რაიონის ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ნაკაიძე ილია ამბაკოს-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

ნაკაიძე ვერა დავითის ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ამწყობი.

ნადირაძე ზურაბ სიმონის-ძე — ჭიათურამარგანეცის № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „მრეწველმშენის“ ბრიგადირი.

ნადირაძე ოსეფ სიმონის-ძე — საკავშირო სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის „სელელექტროსის“ საქართველოს განყოფილების დირექტორი.

ნადირაძე ბუდუ თეოფილეს-ძე — ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის“ № 54 მექანიზებული კოლონის ოსტატი.

ნუცუბიძე ბუდუ ისაკიას-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ნოზაძე ნიკოლოზ პეტრეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ბრიგადირი.

ნიურაძე ლევან ჯრბილეს-ძე — საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა სამმართველოს უფროსი.

ნინიკელაშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე — თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ნინიკელაშვილი ოსეფ სიმონის-ძე — თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ნინუა ვალენტინა ანდრიას ასული — ფოთის ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ ამწყობი-ზეინკალი.

ნიორაძე გიორგი ალექსის-ძე — ქარელის რაიონის სოფელ ატბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ნოვრუზოვი ალდარ ალიბალა ოღლი — გარდაბნის რაიონის სამგორის საჯიმე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ნუცუბიძე ბუდუ თეოფილეს-ძე — ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის“ № 54 მექანიზებული კოლონის ოსტატი.

ნუცუბიძე შალვა ისაკიას-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ნოზაძე ნიკოლოზ პეტრეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ბრიგადირი.

ნურეევი ლეონტი ჯანგირის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე.

ობოლაია უშანგი პლატონის-ძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე.

ოგანესიანი ოთოტ გრიგორის-ძე — წალკის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ოგანესიანი სარიანუშ სტეფანეს ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობის მწველავი.

ოგანესიანი ოფიციანტ ოსეფ ოსეფის ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობის ფაბრიკის დირექტორი.

ოდინოკოვა ვალენტინა ათანასეს ასული — ტოფაგრის „საქმექანმონტაჟის“ რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

ოდიშარია პაველ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

ოდიშვილი დავით გრიგოლის-ძე — ყაზბეგი რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

ოქროშიაშვილი ვასილ ესტატეს-ძე — მეხილეობის სკრის საცდელი სადგურის გორის ექსპერიმენტული ბაზის ბრიგადირი.

ოქრუაშვილი ბესარიონ ვასილის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ოქმაძე გიორგი იასონის-ძე — სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს მეთოთრის მოადგილე პოლიტანწყლში.

ომანაშვილი ილია გრიგოლის-ძე — თელავის რაიონის სოფელ გულგულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ომარ იუსუფ ოღლი — გარდაბნის რაიონის საგამორის საჯიმე საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი.

ომიაძე მიხეილ ლონგინოზის-ძე — თბილისის მექანიკური ქარხნის მუშა.

ონიანი ამბროსი დავითის-ძე — ცაგერის რაიონის სოფელ ლაცირის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ონიაშვილი ანა ბერიძის ასული — ახმეტის რაიკომიკავშირის უხავერმაღის გამაყდგეი.

ონოფრიშვილი ალექსი მიხეილის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური.

ორაგველიძე მიხეილ ფილიპეს-ძე — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ორბელაშვილი ბესარიონ ზაქარიას-ძე — ყასპის ცენტრის ქარხნის მემანქანე.

ორდენიძე შოთა ირჩილის-ძე — ბერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსი.

ორჯონიკიძე ბაო ანდრიას-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

ორჯონიკიძე ალექსანდრე პაველ-ძე — ფოსტის გადაზიდვის თბილისის განყოფილების უფროსი.

ორჯონიკიძე ივანე სავლეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ უბნის უფროსი.

ორკოდაშვილი დიმიტრი ივანეს-ძე — ქ. რუსთავის № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

ორთოიძე დავით ალექსეს-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ორუჯევი ზოხრა ალის ყიზი — ბოლნისის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ორუჯევი ორუჯ მაჰამედ ოღლი — მარნეულის რაიონის ალგეთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი.

ოსიფაშვილი სოლომონ ლევანის-ძე — გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ოსიყმაშვილი ვასილ გიორგის-ძე — მცხეთის რაიონის ნატახტრის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ოსიბოვა ხრანუშ სერგის ასული — საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მდივნის თანაშემწე.

ოტიაშვილი გიორგი კირილეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სადგგონო დეპოს უფროსი.

ოჩხიკიძე გრიგოლ ესტატეს-ძე — ცხაკაიის საშენ მასალათა კომბინატის მუშა.

პაიჭაძე გივი მელატონის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა.

პაიჭაძე ციალა სერგის ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მშვიდობიანის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

პაკელიანი ნორა ირჩილის ასული — ზუგდიდის რაიონის ზუდი ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

პაქსაშვილი გიორგი ალიას-ძე — კავშირგაბმულობის ხაშურის II საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის მოატანორი.

პანიევი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — „საქმთავარენერგოს“ თბილისის ელექტრულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსი.

პანჩენკო ალექსანდრე დემიანის-ძე — ყასპის ცენტრის ქარხნის გაზშემდუღებელი.

პაპაშვილი სოფიო ზაქარიას ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ კოლმეურნე.

პაპიაშვილი სერგო შიოს-ძე — ქარელის რაიონის სოფელ მოხისის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

პაპიძე გიორგი პარმენის-ძე — ჭიათურამარგანეცის № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი.

პაპიძე ჯამბულ სიმონის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მტვირთავი მანქანის მემანქანე.

პაპიკიანი საკა მარტიროსის-ძე — ახალციხის რაიონის სოფელ საძელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პაპიკიანი სრაპ არუთინის-ძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პაპუაშვილი სერგი გიორგის-ძე — გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

პაპუაშვილი იულია სოლომონის ასული — ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

პაპუაშვილი სიკო ილარიონის-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მგრგოლური.

პაპუნოვი გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსი.

პარკაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე — ქარელის რაიონის სოფელ ბრეძის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

პარკაია ილია ანდრონიკის-ძე — ცხაკაიის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ აგრონომი.

პასენოვი კონსტანტინე კალისტრატეს-ძე — წალკის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

პატარავა დიმიტრი ტროფიმეს-ძე — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

პატარავა სოფია კირილეს ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

პატარქალაშვილი. მიხეილ ალექსის-ძე — ყასპის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი.

პატარქალიშვილი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბაბის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი.

პატარიშვილი ქარუმ მიხეილის-ძე — ფოთაურის მეტალურგიული ქარხნის უფროსი მექანიკოსი.

პეტრაშვილი ალექსი ნიკოლოზის-ძე — გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

პეტრაშვილი პეტრე პეტრეს-ძე — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილე.

პეტრაშვილი თამარ მიხეილის-ძე — თიანეთის რაიონის სოფელ სამონიანთხევის კოლმეურნეობის მწყემსი.

პეტრაშვილი ჭიჭიკო დავითის-ძე — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის უფროსი მეპარატე.

პეტროვა ვერა ვასილის ასული — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების სპეციალისტი.

პეტროვი ვიქტორ სიმონის-ძე — საგოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაური.

პეტროსიანი რუბენ ვართანის-ძე — თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო საგადგომის უფროსი.

პეტროსიანი სიმონ პეტროსის-ძე — საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი.

ოლოსიანი ვლადიმერ არამის-ძე — ახალციხის საავეჯოო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი.

პოგრებეცი ოსიფ ეფრემის-ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის გაყოფილების უფროსი.

პოლუექტოვი სტეფანე მიხეილის-ძე — ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ № 1 ხისდასამუშავებელი კომბინატის დურგალი.

პოშნაგოვა სოფიო გიორგის ასული — წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი.

პროხოსეროვი ნიკოლოზ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოსაყიდის გამგე.

პიოსეცკი მავრ იაკობის-ძე — გრიბოედოვი სახელობის თეატრის მსახიობი.

ყამიერაშვილი გივი ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

ყვანია ალექსანდრე ვლადიმერის-ძე — ცხაკაიის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ყვანია ნესტორ ანტონის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ყვანია ნინო ავქსენტის ასული — თბილისის შშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ყვანია შალვა გორგის-ძე — გარდაბნის რაიონის სამგორის საჯიმე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი.

ყორდანია გვანჯა სანდროს-ძე — ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის საამქროს უფროსი.

ყორეიკაშვილი გრიგოლ დავითის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ყორეულიანი ვლასი გიორგის-ძე — გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

ყუფუნაძე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ტრესტ „ბაკურიანსსტროის“ სამშენებლო ორგანიზაციის უფროსი.

ყულენტი ვალდა იაკობოვნა ასული — ბახარაძის რაიონის ბახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ყულენტი გახტანგ ოლიფანტეს-ძე — ნენასოფლიანთა სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

რაბინოვიჩი ბორის მოსეს-ძე — რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების უფროსი.

რაზმაძე ავთანდილ დავითის-ძე — მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

რაზმაძე კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — ხაშურის სატყეო მეურნეობის ოსტატი.

რაზმაძე ლევან ზაქარიას-ძე — გორის რაიონის სოფელ ზეოდულეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

(გაგრძელება იქნება).

ერეკლეანული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე
პოეტი-აკადემიკოსი.

ეესხეტეტ

უფრო მხურვალედ,
ვიდრე არასდროს
მინდა გემთხვიო და გეთაყვანო,
ათას ავდარში,
ათას ვარამში
შენ დაუშლელო ჩვენო აკვანო!

მინდა ხერთვისში,
თმოგვში,
ხანძთაში
შენი ზეიმის მოსვლა გახარო, —
ათას გრიგალში, ათას ხანძარში
დაუნგრეველო ჩვენო სახლკარო!

შენ ჩვენო ფესვო,
მარად ცოცხალო,
ბრძენო რაინდო, ტკბილსაჭვრეტელო,
ჩვენი სასახლის ხუროთმოძღვარო,
ჩვენი გვირგვინის ოქრომჭედელო!

ჩვენი გონების
გაშლის, განფენის,
ჩვენი კაცობის ძველო თავდებო,
ჩვენი სიმღერის და აღმაფრენის,
ჩვენი დიდების ფუძის დამდებო!

მინდა
შენს მთებთან
თავი დავხარო,
უხვად შეგმოსო ვარდის სამოსით;
მინდა ზეიმი ჩვენი გახარო,
მკერდში ჩაგეკრა ამ მისალოცით.

მინდა
პირნათლად თვალში შეგხედო,
შუქო უკვდავო, უკვდავ ელვისა...
ჩემო მესხეთო,
ჩემო მესხეთო,
მშობელო მიწავ რუსთაველისა.

12/V—66 წ.

რუსული მუსიკის ფესტივალი

მრავალფეროვანი პროგრამით

თბილისის მუსიკის მოყვარულნი დიდ ინტერესს იჩენენ რუსული მუსიკის ფესტივალისადმი. გუშინ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ფესტივალის მესამე კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დირიჟორი ნათან რახლინი, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი რსფსრ სახალხო არტისტის კლავდი პტიცას მხატვრული ხელმძღვანელობით, სოლისტები: ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, მ. გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ირინე ბოგაჩოვა და საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სოლისტი, ბარიტონი იური იაკუშევი.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ბახის პასაკალია, მოცარტის სიმფონია, რახმანინოვის კანტატა „გაზაფხული“ ორკესტრისთვის, გუნდისა და სოლისტისათვის, არია რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „უკვდავი კაშჩეი“ და ვილა ლობოსის ბრაზილიელ ინდიელთა სიმღერები და საცეკვაოები.

კონცერტმა, რომელსაც მრავალი მაყურებელი ესწრებოდა, წარმატებით ჩაიარა.

ფესტივალი ყოველთვის სასახარულო მოვლენაა, მაგრამ ჩემთვის იგი კიდევ უფრო საგულისხმოა, რადგან თბილისს ჩემს შემოქმედებთა ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ამ ლაბაზ, უაღრესად თავისებურ და კოლორიტულ ქალაქში გავმართე პირველი კონცერტი კონკურსში გამარჯვების შემდეგ. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ომამდე. მას მერე, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ თბილისი ჩემს მეხსიერებაში ვლ

ახალი ამბები, ცნობები

კარგური ღვინო საზღვარგარეთ

თელავი. (საკ. კორ.). წინანდლის ლენინის ორდენოსანი ღვინის ქარხნის კოლექტივმა დიდი გადამეტებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა. „წინანდალი“ დიდი რაოდენობით გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

წინანდლის ღვინოზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთაც. ამას წინათ ჩეხოსლოვაკიაში ოცდაათი ათასი დეკალიტრი № 23 ღვინო გაიგზავნა. საექსპორტოდ შიდის წითელი ღვინოებიც. თელიანის ღვინის ქარხანამ ჩეხოსლოვაკიაში გაგზავნა 31 ათასი დეკალიტრი № 5 ღვინო. ამ დღეებში კიდევ 15 ათასი დეკალიტრი გაიგზავნება.

◆

ქართული მოდები გულგარეთში

პასუხსაგებ დავალებას ასრულებს საქართველოს მოდელების სახლი. საბჭოთა მკერავების სხვა ნაწარმთა შორის ქართველი მხატვრების 110 მოდელი გაიგზავნება პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება. ეს არის საყოველდღეო და სპორტული ტანსაცმელი, საღამოს ტუალეტები. მოდელებში თანამედროვე ხაზებთან მშვენივრადაა შეხამებული ქართული ეროვნული ელემენტები, სპორტული კოსტუმების კომპლექსში შედის კახური და ხევსური ქუდები. ყაბალახი, საღამოს კაბებში ვამაყენებულია ქართული ეროვნული ქარგა.

ყველა მოდელი შეკერილია საბჭოური წარმოების ქსოვილისაგან, ამასთან ნახევარზე მეტი მატერიებისა გამოშვებულია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მიერ. ბაზრობაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ქართული ტრიკოტაჟი. პლოვდივში ნაჩვენები იქნება აგრეთვე მოდელებისათვის სპეციალურად შერჩეული ფეხსაცმელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ტუალეტი იქნება ბულგარული ეროვნული ტანსაცმლის ელემენტების საფუძველზე. მემოდელე მხატვრები ბულგარულ ტანსაცმელს გაეცნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ქართული მოდელები პირველად როდი მონაწილეობენ საერთაშორისო ბაზრობებზე. ისინი წარმოდგენილი იყო თეირანისა და იზმირის საბჭოთა სამრეწველო გამოფენებზე, სადაც მაღალი შეფასება მიიღეს. (საქდესი).

◆

„სკოლა და ცხოვრება“ № 5

გავიგიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ბოლოი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ჩვენი ჟურნალის საპატიო ამოცანა; **რ. გაფრინდაშვილი** — მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ; კომუნიზმი და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება; **გ. ჯოჯუა, კ. ტაკელიძე** — დიაპოზიტივებისა და დიაფილმების გამოყენება სასწავლო-საალმზრდელო პროცესში, **ვ. მაისურაძე** — მეზუმემები მოზარდი თაობის აღზრდის სამსახურში, **შ. შათირიშვილი**— გერმანული წინადადების სწავლება; **ი. ქავთარაძე** — ქართული დიალექტური ლექსიკის შესწავლის საკითხები; **აკ. თოფურია** — დისკუსია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხებზე; **დ. ზავრიევი** — მსოფლიოს თანამედროვე. პოლიტიკური და ეკონომიური რუკა; შინმოუსვლელთა სადიდებლად.

ბ. ი. ზარდალიშვილი — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწ. ი ფ ო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა **გრიგოლ ივანეს-ძე ზარდალიშვილმა** მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა გ. ი. ზარდალიშვილისათვის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲝᲛᲖᲘᲜᲐᲕᲔᲗᲘ

1965 წელს ხაშურის რაიონში წარმატებით განხორციელდა საბჭოთა არმიისათვის. ახალგაზრდობის მომზადება და არმიაში გაწვევა. ხაშურის გაერთიანებულმა სამხედრო კომისარიატმა რესპუბლიკის რაიონებს შორის პირველი აღგილი მოიპოვა, რისთვისაც **მას** მიენიჭა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან დაკავშირებით გაიმართა ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გომელაურმა გულითადად მიულოცა ხაშურის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ აქტივს და სამხედრო კომისარიატის კოლექტივს გარდამავალი დროშის მოპოვება და უსურვა შემდგომი წარმატებანი საბჭოთა არმიისათვის ღირსეული შევსების მომზადების საქმეში.

ლ. კაკიაშვილი.



• ᲡᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲡᲕᲔᲜᲝᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔᲡ •

თქვენ გელიან, დამსვენებლებო!

დადგა ვარდობისთვე. მზის სხივებს ძალა თანდათან ემატება და ზაფხულის მოახლოებას გვაგრძნობინებს. ბუნების თბილი ფერები დასასვენებლად უხმობენ ადამიანებს. და ისინიც, ბუნებრივია, ყოველ კვირადღეს დაუსვამენ საკუთარ თავს კითხვას — სად დავისვენოთ?

ჩვენ ვესტუმრეთ თბილისელთათვის კარგად ცნობილ კულტურისა და დასვენების კერებს და შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც გავეცეთ პასუხი კითხვაზე — სად დავისვენოთ კვირადღეს?

მსოფლიო ფლორის ჩრდილში

ᲔᲠᲔᲕᲚᲘ მოედნის ᲑᲐᲠᲯᲒᲕᲘᲗ ქვაფენილს რომ აუყვებით, მალე რკინის დიდ ალაყაფის კარს მიადგებით და მარმარილოზე ამოკვეთილ წარწერას დაინახავთ: „თბილისის ბოტანიკური ბაღი“.

როგორც კი კარის ზღურბლს გადაადგამთ, სულ სხვა სამყაროში მოხვდებით. ამ ბაღში ვეღარ ბატონობს მცხუნვარე მზე. აქ შესული კაცი პირველად ხეკენებს დაუყვება და დიდხანს ათვალიერებს ამ თვალწარმტაც ადგილს, შემდეგ კი ჩრდილში სკამზე ჩამოჯდება და გაირინდება. მის მყუდროებას ვერავინ დაარღვევს, რადგან აქ თვით ბუნებაც გარინდულია.

— ბაღში 2 ათასზე მეტი ჯიშის ხეებუჩქი და ვარდის 700-ზე მეტი სახეობაა, — გვითხრა ბოტანიკური ბაღის დირექტორმა პროფესორმა მ. გოგოლიშვილმა. — შართალია, ჩვენთან ატრაქციონულ-სანახაობითი მხარე ნაკლებია, მაგრამ თუ ადამიანს ფიზიკურად და სულიერად დასვენება სურს, უკეთეს ადგილს ვერც ნახავს.

ჩვენი ბაღი განსაკუთრებით უყვართ მოხუცებსა და სტუდენტებს. სტუდენტები წიგნებითა და რვეულებით ხელში მოდიან და მთელი დღის განმავლობაში მეცადინეობენ.

წელს ბაღში საინტერესო სიახლე გვექნება. გამოვკვეთეთ 1.500 კვადრატული მეტრი ფართობი ჰიდროპონიკის ორანჟერიისათვის. ჰიდროპონიკა—უნიადაგოდ მცენარეთა გამოკვება — ჩვენს ბაღში პირველად ინერგება. მისი დანიშნულებაა ზამთრის პერიოდში უზრუნველყოთ ქალაქი ყვავილებით.

დამსვენებლებს შეუძლიათ ნახონ ტროპიკული ორანჟერია, სადაც გვაქვს მეტად უნიკალური მცენარე — „ვიქტორია“. უცნაური იმიტომ, რომ მისი ფოთლის დიამეტრი 1,5 მეტრს აღწევს. ამავე ორანჟერიაში ათასამდე სხვა ტროპიკული მცენარეა.

ბაღს აქვს ჩინეთ-იაპონიის, სმელთაშუა ზღვის, ამერიკის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და სხვა ვანყოფილებები. სულ 11 გეოგრაფიული განყოფილებაა, რომელსაც 35 მეცნიერი თანამშრომელი ემსახურება.

ბაღში ვაწყობთ ე. წ. „უსახელო ვარდობას“ ნათლობას, რომლის დროსაც სპეციალური კომისია იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა სახელი დავარქვათ ახალ ვარდს. უკვე „მონათლულებიდან“ შეგვიძლია დავასახელოთ „იური გაგარინი“, „ნიკო კეცხოველი“, „ნონა გაფრინდაშვილი“ და სხვ.

ბაღის ყველა თანამშრომელს ერთი სურვილი აქვს, რომ ყოველი მომსვლელი ჩვენგან კმაყოფილი და დასვენებული წავიდეს.

საიდანაც თბილისი ყველაზე ლამაზია

ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ თბილისი ყველაზე უფრო მომიბვლელია. აქედან ხელისგულივით ჩანს მთელი ქალაქი და განსაკუთრებით კარგი სანახაობა იშლება ღამით, როცა ელნათურებით აელვარებული ქალაქი ზღაპრულ მძივთა აკიდოს ემსგავსება.

ალბათ მიხვდით რაზეა საუბარი. დიახ, ფუნიკულორრს, თბილისელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილზე.

პირველი მაისიდან ფუნიკულორის კარი გაიღო დამსვენებელთათვის.

ჩვენი მოსვლის მიზანი რომ გაიგო, მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორმა ს. მელაძემ პირველ რიგში პარკის დათვალიერება შემოგვთავაზა. სიამოვნებით დავთანხმეთ, რომ გვეხახა, თუ როგორ მოემზადა პარკი დამსვენებელთა მისაღებად.

— ჩვენი პარკის სტუმრებისათვის, — ამბობს ს. მელაძე.— განსაკუთრებით ბავშვებისათვის. გვაქვს ზოგიერთი სიახლე: ჯაჭვური კარუსელი, შემხვედრი ბორბალი, რაკეტოპლანი, სპირალი, ვარსკვლავი და სხვ. მალე მივიღებთ ავტომატარებელს, სადაც მოწყობილი იქნება 14 მოძრავი ატრაქციონი.

პარკში გვექნება ზეპირი ჟურნალი დევიზით „ესთეტიკა — ბავშვობიდან“. გაიმართება აგრეთვე თემატური კითხვა-პასუხის საღამოები, ლექცია-მოხსენებები.

დიდი შთაბეჭდილებაა ტოვებს ბავშვებზე ბავშვთა ოლქის შტაბის ორეულტრი. პერიოდულად იმუშავებს საზაფხულო თეატრი. სადაც დამსვენებელთა წინაშე გამოვლენ საქართველოს ფილარმონიის სოლისტები და თბილისის სახელმწიფო თეატრები.

როგორც ყოველთვის, ბავშვებისათვის საუკეთესო გასართობი იქნება მცირე რკინიგზა, რომელშაც უკვე დაიწყო მუშაობა და ელოდება ნორჩ მგზავრებს.

პარკში იმუშავებს საბავშვო კარუსელი, სრანო, სიცილი ოთახი, მაგიური ჩოგანური, საპარაშუტო კოშკი და სხვ.

რუსთაველის იუბილესათვის მოეწყობა სახალხო სეირნობა, წაკითხული იქნება ლექციების ციკლი შოთა რუსთაველის შემოქმედების სხვადასხვა საკითხზე. განზრახულია მოეწყოს აგრეთვე დამსვენებელთა შეხვედრა რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან: ირაკლი აბაშიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლადო გუდიაშვილთან, ელგუჯა ამაშუკელთან.

ერთი სიტყვით არც აქედან წავლენ თბილისელები უკმაყოფილო.

ცხრათავალა მზე იცინის თბილისის ცაზე. ბუნებასაც თითქოს უხარია და თავის წაღაში უმობს ადამიანებს, რათა მათაც გაიზიარონ მისი სიხარული.

მ. ელიშაყაშვილი,

• • •



სურათზე: დამსვენებლები ფუნიკულორის პლატოზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ!

ᲔᲡᲛᲘᲡ... ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲡ

თუ ადამიანს სასმენი აპარატი იმდენად დაზიანებული აქვს, რომ მას ცუდად ან სრულიად არ ესმის, ამ ნაკლის გამოსწორება თუმცა შესაძლებელია:

იუგოსლავიელმა მეცნიერმა პროფესორმა გუბერინამ შეიმუშავა ადამიანისათვის სმენის დაბრუნების საშუალება.

როგორ გვესმის? გუბერინა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბგერების აღქმა შესაძლებელი ყოფილა არა მარტო ყურით, არამედ სხეულის სხვა ნაწილებითაც. მაგალითად, ხელისგულით, თითის წვერით, მუხლის თავით, იდაყვით. ტვინის სასმენი ცენტრისათვის სულ ერთია საიდან მიიღებს სიგნალებს. ბევრმა ალბათ არც იცის, რომ დაყრუებული ბეთჰოვენი მუსიკას ისმენდა ჯოხით, რომლის ერთ ბოლოს როიალს მიადებდა, ხოლო მეორეს მკერდზე მიიდებდა.

ყურის როლი ხელისგულმა რომ შეასრულოს, ახალმა „სასმენმა ორგანომ“ უნდა აღიქვას ჩვენთვის ხელმისაწვდომი ბგერითი სიხშირის მთელი დიაპაზონი. ჰაერის აკუსტიკური რხევებისადმი მგრძნობიარე კანის ნაწილებს შეუძლიათ „გიიგონონ“ მხოლოდ 2.000 ჰერცი სიხშირის ბგერები. მაგრამ როგორც გუბერინამ გამოარკვია, მათ შესაძლებელია „ვასწავლოთ“ სხვა სიხშირის ბგერითი ტალღების აღქმაც. ასეთი წვრთნა ხდება სპეციალური აპარატის — ვიბრატორ „სუვაეის“ მეშვეობით. წვრთნის შედეგად ყრუს უკვე შეუძლია ყურების დაუმპარებად მოისმინოს მეტყველები თითბგერები.

ეს კარგად იცის 29 წლის მარა ეეგარაცმა, რომელიც ბავშვობაში დაბრმავდა და დაყრუდა. ხანგრძლივი და დაჟინებული წვრთნა-მკურნალობის შედეგად მას კვლავ ესმის და ტელეფონისტადაც კი მუშაობს იქვე, სადაც უმეცარ ადამიანებს ეგონ, რომ ყრუ-მუნჯია.

იუგოსლავიურ ᲧᲣᲠᲜᲐᲚ „სვეტის“ კორესპონდენტი ნადია მიატოვიჩი ამ ცენტრს ესტუმრა და თვითონ მიიღო მონაწილეობა ექსპერიმენტში. ის მარტო იჯდა ოთახში და ხელში ვიბრატორი ეჭირა, რომელიც შეერთებული იყო მეორე ოთახში დადგმულ მიკროფონთან. ამ მიკროფონში პროფესორ გუბერინას ერთერთი თანაშემწე თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა და ქალს ყველაფერი ესმოდა. ძალზე უცნაური შთაბეჭდილებაა: ლაპარაკი ესმოდა ხელში დაჭერილი ან იდაყვის მოსახვევზე მიდებული ვიბრატორის მეშვეობით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲤᲝᲜᲝᲮᲔᲓᲕᲐ

ელექტროდამკვრელზე დებთ „ფონოხედვის“ ფირფიტას და აპარატს. რთავთ არა რადიომიმღებში, არამედ ტელევიზორში. ფირფიტის ღარებზე ჩაწერილია ოროგონ ერთ ბილიკად. ელექტროდამკვრელი და ტელევიზორი ჩვეულებრივია. ფირფიტაც ჩვეულებრივს ჰგავს — ორმხრივია, 30 სანტიმეტრი დიამეტრისაა, წუთში 33 ბრუნს აკეთებს. მაგრამ გარდა ორმოცწუთიანი მუსიკალური ან მეტყველებითი ჩანაწერისა, იგი ეკრანზე ეჩვენებს 400 გამოსახულებას, რაც ჩაწერილი ხმის ილუსტრაციას წარმოადგენს. ეს შეიძლება ყოს შტრიხით ან ხახვარტონებით შესრულებული ნახატები, რუკები, ფოტოსურათები. ნახატები, ნაბეჭდი ტექსტი. ჯერჯერობით გამოსახულება უმოძრაოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ისევე ამოძრავდება, როგორც თავის დროზე „გაიცოცხლდა“ ფოტოგრაფია. „ფონოხედვის“ სისტემას მთელი რიგი უპირატესობა აქვს — პირველ რიგში მისი სიმარტივე, საკმარისია ერთი ფირფიტა ხმისა და გამოსახულების გადმოსაცემად, შესაძლებელია ერთდროულად გადაცემის მოწყობა რამდენიმე ეკრანზე სხვადასხვა შენობაში, ხებისმიერ დროს შეიძლება გადაცემის შეწყვეტა და ამა თუ იმ მონაკვეთის გმეორება. ამის შესრულება კი კინოაპარატით გაცილებით რთულია, ხოლო ტელევიზორით საერთოდ შეუძლებელია. „ფონოხედვის“ ეს თვისება განსაკუთრებით ძვირფასია სასწავლო და საგანმანათლებლო ფირფიტების მოსმენისა და... ყურებისას.

„ფონოხედვის“ სისტემა დაამუშავეს „ვესტინჰაუზ ელექტრიკის“ (აშშ) ლაბორატორიაში. დოქტორ უილიამ შოუსის ხელმძღვანელობით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ — ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ

15 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქაჯანა (დღისით), ლუჩია და ლამერმური (საღამოს, მე-4 აბონ. მე-5 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სომერა შეკვარდნზე (დღისით, მე-3 აბონ.), მეტეხის ჩრდილში (საღამოს, მე-14 აბონ.). **რუსთაველის სახელობის** მცირე დარბაზი — შეხვედრა (საღამოს, მე-12 აბონ.). **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მე ვხედავ მზეს (დღისით), ცხოვრებს ჯარა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — დონ კიხოტს მიჰყავს ბრძოლა (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მიყვარს ჩემი ქუჩა (დღისით). **ჩანტის კოცონი** (საღამოს), **სანკულტურის** — ვეხ-სუბეული ძმაკაცები, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — რუსული მუსიკა ფესტივალი (საღამოს 8 ს. და 30 წ.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ეოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტის „ორეარას“ კონცერტი (საღ. 8 ს. და 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ცოხე-სმაგრის საიდუმლო (№ 22 და 37 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 39 და 51 აბონ. დღის 5 ს.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

15 მაისი

10.00 — დაუწერებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.40 — მოაწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ხელოსანთა ქალაქი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.50 — „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვა (გადაცემა მეორე), 18.20 — „ესტრადა-66“ — საესტრადო სიმღერების კონკურსი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა — „კონსტანტინე გამსახურდია“ (დაბადების 75 წლისთავი; გამო), 20.30 — მუსიკალური ფესტივალი — კონცერტს ტრანსლაცია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 16 მაისისათვის, 23.30 — საკვირაო გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბუდაპეშტიდან).

16 მაისი

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — რესპუბლიკის საშუალო სკოლებთან არსებული მუსიკალური კლასების დაარსების 10-წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, 19.00 — გადაცემა — „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან“, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — გადაცემა — „ზღვებსა და ოკეანეებში“, 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — მუსიკალური ფესტივალი — კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. ანტრაქტში — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.25 — გადაცემათა პროგრამა 17 მაისისათვის, 22.30 — ახალგაზრდა პოეზიის საკავშირო ფესტივალის დასკვნითი ტური (გადაცემა მოსკოვიდან).

მეორე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — 16 ს. 55 წ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

მოხდა ისე, რომ ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის მატჩში, პირველად, ერთ დღეს ორი პარტია იყო დასამთავრებელი. ამან კიდევ უფრო გაძლიერა ჟანრაკის მოყვარულთა ინტერესი.

მეცამეტე პარტიის ორჯერ გადადების შემდეგ, სადაც გაკეთდა 91 სვლა, მეტოქეთა გულშემატკივრებს აინტერესებდათ განაახლებდა თუ არა ჩემპიონი ბრძოლას. როგორც ვიუწყებოდით, ეს პარტია გადადებული იყო პეტროსიანისათვის მძიმე მდგომარეობაში.

გუშინ საკადრაკო კლუბში პირველად ჩემპიონი გამოცხადდა და მეცამეტე პარტიაში ბრძოლის განუახლებლად თავი დამარცხებულად ცნო. როდესაც სპასკი მოვიდა, მას უკვე დიდი ხნის საცენტრო ცოფი — ერთიანი დახვდა ჩაწერილი მატჩის ცხრილში. ეს პრეტენდენტის პირველი გამარჯვება იყო თოთხმეტი წლის მანძილზე ჩემპიონთან შეხვედრებში.

ამის შემდეგ მეტოქეები შეუდგნენ მეთოთხმეტე პარტიის დამთავრებას. გამორკვა, რომ ჩემპიონს მეტად ძლიერი სვლა ჩაეწერა. სპასკის ყოველგვარი ჩაფიქრებული ალტერნატიული ბოლოსა, ბაქოსა და ერევნის მოკვადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩისა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარეობს.

თბილისელებმა 13,5 ქულა შეაგროვეს, ბაქოელებმა — 10,5 ქულა, ერევნელებმა — 6 ქულა.

გუშინ მეორე წრის პირველ ტურში თამაშობდნენ ერევნისა და ბაქოს გუნდები.

მნაცაკანიანმა (ერევანი) რეკვანში აიღო პირველ წრეში **ბაგირიოვთან** დამარცხებაზე. წარმატებით იბრძოდა საერთაშორისო ოსტატი **კასპარიანი** ბაქოელი **ა. შახტახტინსკის** წინააღმდეგ და თავის გუნდს ქულა მოუტანა. ასევე წარმატებას მიაღწია ქალთა შორის ერევნელმა **ვარდანიანმა გორბუნოვასთან** შეხვედრაში და მანაც რეკვანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის. ბაქოელმა **გავაშელიშვილმა** დაამარცხა **არუთინიანი, საკოვამ — აფიანი** (ერევანი). **ლ. გრიგორიან-ფ. შახტახტინსკის** პარტია ყაიმით დამთავრდა. ოთხი პარტია გადადიდ.

ჟერჯერობით ერევნისა და ბაქოს გუნდების მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 ერევნელ მოკვადრაკეთა სასარგებლოდ.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **მაგდებურგში** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. მონაწილეობენ სსრ კავშირის, შვეიცარის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. პირველ მატჩში საბჭოთა წყალბურთელები შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს და მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4.

△ **გუშინ** ნოვოსიბირსკში საზეიმოდ აღმართეს ჩვენი ქვეყნის მორიგი ჩემპიონატის ალმი ძალოსნობაში. ფიკარნგზე გამოვა 130-მდე შტანგისტი. მათ შორის არიან მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლ. ეაბოტინსკი**, ოლიმპიური ჩემპიონი **ა. ვახონინი, ვ. კურენცოვი, ვ. კაპლუნოვი** და სხვ. გუშინ გამოვლინდა პირველი ჩემპიონი. ეს ეოდება მჩატე წონაში მოიპოვა **ა. ვახონინმა** — 342,5 კილოგრამი.

ᲐᲮᲚᲐ „ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ“...

ᲑᲝᲜᲝ, 13 მაისი. (საკდესის კორ. ი. იაკოვლევი). საბჭოთა კავშირის გუნდმა ბრწყინვალედ დაიწყო გამოსვლა ევროპის კლასიკურ მოკიდავეთა ჩემპიონატში, რომელიც დღეს გაიხსნა ესენში. ორი წუთის შემდეგ მოსკოველმა **კიროვმა** ბეკებზე დასცა ბელგიელი **ტომასი**, ხოლო ბაქოელმა **აგამოვმა** 5 წუთში ხელიჩაზე გააკრა დანიელი **ბენსტონი.** წმინდა გამარჯვება მოიპოვა თურქ **აქსოისთან** შეხვედრაში საბჭოთა გუნდის კაპიტანმა **ანატოლი როშჩინმა.** ბაქოელმა **საიადოვმა** და ალმაატელმა **ბაკულინმა** ქულებით მოუგეს მეტოქეებს.

კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობს 23 ქვეყნის 150 მოკიდავე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი ამჟერადაც შეეცადნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის დისკრიმინაციას, მაგრამ საბოლოო ჯამში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილეს. და გუნდი გამოდის თავისი ალმით.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მეშვიდე ტურის კიდევ ერთი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამო“ და ტაშკენტის „პახტაკორი“.

შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ პირველი წრე თბილისის, ბაქოსა და ერევნის მოკვადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩისა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარეობს.

თბილისელებმა 13,5 ქულა შეაგროვეს, ბაქოელებმა — 10,5 ქულა, ერევნელებმა — 6 ქულა.

გუშინ მეორე წრის პირველ ტურში თამაშობდნენ ერევნისა და ბაქოს გუნდები.

მნაცაკანიანმა (ერევანი) რეკვანში აიღო პირველ წრეში **ბაგირიოვთან** დამარცხებაზე. წარმატებით იბრძოდა საერთაშორისო ოსტატი **კასპარიანი** ბაქოელი **ა. შახტახტინსკის** წინააღმდეგ და თავის გუნდს ქულა მოუტანა. ასევე წარმატებას მიაღწია ქალთა შორის ერევნელმა **ვარდანიანმა გორბუნოვასთან** შეხვედრაში და მანაც რეკვანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის. ბაქოელმა **გავაშელიშვილმა** დაამარცხა **არუთინიანი, საკოვამ — აფიანი** (ერევანი). **ლ. გრიგორიან-ფ. შახტახტინსკის** პარტია ყაიმით დამთავრდა. ოთხი პარტია გადადიდ.

ჟერჯერობით ერევნისა და ბაქოს გუნდების მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 ერევნელ მოკვადრაკეთა სასარგებლოდ.

სამი ქალაქის მოკვადრაკეთა მატჩი

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲔᲑᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

15 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქაჯანა (დღისით), ლუჩია და ლამერმური (საღამოს, მე-4 აბონ. მე-5 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სომერა შეკვარდნზე (დღისით, მე-3 აბონ.), მეტეხის ჩრდილში (საღამოს, მე-14 აბონ.). **რუსთაველის სახელობის** მცირე დარბაზი — შეხვედრა (საღამოს, მე-12 აბონ.). **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მე ვხედავ მზეს (დღისით), ცხოვრებს ჯარა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — დონ კიხოტს მიჰყავს ბრძოლა (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მიყვარს ჩემი ქუჩა (დღისით). **ჩანტის კოცონი** (საღამოს), **სანკულტურის** — ვეხ-სუბეული ძმაკაცები, **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — რუსული მუსიკა ფესტივალი (საღამოს 8 ს. და 30 წ.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ეოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტის „ორეარას“ კონცერტი (საღ. 8 ს. და 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ცოხე-სმაგრის საიდუმლო (№ 22 და 37 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 39 და 51 აბონ. დღის 5 ს.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

15 მაისი

10.00 — დაუწერებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.40 — მოაწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ხელოსანთა ქალაქი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.50 — „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვა (გადაცემა მეორე), 18.20 — „ესტრადა-66“ — საესტრადო სიმღერების კონკურსი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა — „კონსტანტინე გამსახურდია“ (დაბადების 75 წლისთავი; გამო), 20.30 — მუსიკალური ფესტივალი — კონცერტს ტრანსლაცია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 16 მაისისათვის, 23.30 — საკვირაო გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბუდაპეშტიდან).

16 მაისი

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — რესპუბლიკის საშუალო სკოლებთან არსებული მუსიკალური კლასების დაარსების 10-წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, 19.00 — გადაცემა — „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან“, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — გადაცემა — „ზღვებსა და ოკეანეებში“, 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — მუსიკალური ფესტივალი — კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ს